

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფოლადის სახლი

(მსს ფასს)

2022 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფოლადის სახლის დამფუძნებლებს

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი, ისნის

რაიონი, ქეთევან წამებულის

გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ფოლადის სახლის („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, მის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებადი საწარმოს პინციბთან დაკავშირებით

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 21-ზე სადაც განხილულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის საკითხი.

როგორც აღნიშნულია შენიშვნა 21-ში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აჩვენებს, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება შეადგენს 26,214,655 ლარს, ხოლო კომპანიის ფულადი სახსრები და გაცემული სესხები ჯამში მხოლოდ 8,296,758 ლარია. ამას გარდა, კომპანიის 2022 წლის ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან უარყოფითია და შეადგენს 1,037,702 ლარს. ამგვარმა მდგომარეობამ შესაძლოა წარმოქმნას ეჭვი კომპანიის უნართან დაკავშირებით დროულად დაფაროს ვადადამდგარი სასესხო ვალდებულებები, რადგან მომავალ წელს კომპანიას უწევს მნიშვნელოვანი სესხის დაფარვა და მისი ლიკვიდური აქტივები და საოპერაციო ფულადი ნაკადები საკმარისი არ ჩანს ამ თანხის დასაფარად.

თუმცა, წინამდებარე ანგარიში მომზადდა 2023 წლის ოქტომბერში და ფაქტია რომ კომპანიას საქმიანობა არ შეუწყვეტია და არც მნიშვნელოვნად შეუმცირებია მასშტაბი. ეს შესაძლებელი გახდა დაკავშირებული მხარეების მიერ გაწეული ფინანსური მხარდაჭერით. მართალია 2023 წლის ოქტომბრისთვის კომპანიას ისევ მნიშვნელოვანი სასესხო ვალდებულებები აქვს, მაგრამ კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია გააგრძელებს საქმიანობას აქტივობების მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე, კვლავ დაკავშირებული მხარეების მხარდაჭერით. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ სესხის ვადაზე ადრე დაბრუნების საკითხი არ წამოიჭრება და არც ვადაგადაცილების შემთხვევაში მოითხოვენ სესხის გამცემები მის მყისიერად უკან დაბრუნებას. ამ ანალიზისას მენეჯმენტი ითვალისწინებს კომპანიის წარსულ გამოცდილებასაც, რაც ამყარებს პოზიციას, რომ საწარმო გააგრძელებს უწყვეტ ფუნქციონირებას.

ზემოთ აღწერილი ყველა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია ფუნქციონირებად საწარმოს წარმოადგენს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხის გამო.

სხვა საკითხი

კომპანიას საფინანსო ორგანიზაციებთან გაფორმებული აქვს სასესხო ხელშეკრულებები, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს გარკვეულ ფინანსურ შეზღუდვებს (კოვენანტებს). ხელშეკრულების მიხედვით კოვენანტების დათვლისას გაითვალისწინება კომპანიის და მისი დაკავშირებული მხარის ფინანსური მაჩვენებლები. აუდიტის განხორციელებისას ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ იყო დაკავშირებული მხარის მონაცემები, შესაბამისად ვერ განვსაზღვრავთ და ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას კოვენანტების შესახებ.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამის გამო.

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების

შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოექცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საადრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

შპს გრანტ თორნტონის სახელით:

გვანცა შურღაია

გარიგების პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (SARAS-A-402361)

7 დეკემბერი 2023



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართულ ლარში	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	12,530,809	10,057,814
არამატერიალური აქტივები		54,837	48,007
		<u>12,585,646</u>	<u>10,105,821</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	18,722,805	18,739,223
მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	6	19,479,229	7,929,729
გაცემული სესხები	7	4,724,580	1,418,273
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	3,572,178	673,061
		<u>46,498,792</u>	<u>28,760,286</u>
სულ აქტივები		<u>59,084,438</u>	<u>38,866,107</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
დაგროვილი მოგება		9,888,714	9,940,772
		<u>9,888,714</u>	<u>9,940,772</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	-	946,806
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	10	621,005	498,728
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	12	671,648	-
		<u>1,292,653</u>	<u>1,445,534</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	21,267,299	7,232,301
სესხები	9	26,214,655	19,995,871
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	10	421,117	251,629
		<u>47,903,071</u>	<u>27,479,801</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>59,084,438</u>	<u>38,866,107</u>

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2023 წლის 7 დეკემბერი:

ზეზვა სალოთხუციშვილი
დირექტორი

სოფო ერაძე
ფინანსური მენეჯერი

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-26 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართულ ლარში	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	12,530,809	10,057,814
არამატერიალური აქტივები		54,837	48,007
		12,585,646	10,105,821
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	18,722,805	18,739,223
მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	6	19,479,229	7,929,729
გაცემული სესხები	7	4,724,580	1,418,273
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	3,572,178	673,061
		46,498,792	28,760,286
სულ აქტივები		59,084,438	38,866,107
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
დაგროვილი მოგება		9,888,714	9,940,772
		9,888,714	9,940,772
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	-	946,806
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	10	621,005	498,728
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	12	671,648	-
		1,292,653	1,445,534
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	21,267,299	7,232,301
სესხები	9	26,214,655	19,995,871
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	10	421,117	251,629
		47,903,071	27,479,801
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		59,084,438	38,866,107

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2023 წლის 7 დეკემბერი:

ზეზვა სალომეშვილი
დირექტორი



სოფო ერაძე
ფინანსური მენეჯერი



ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-26 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართულ ლარში	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რელიზაციიდან	13	168,145,303	152,219,356
რელიზაციის თვითღირებულება	14	(155,746,477)	(138,822,336)
საერთო მოგება		12,398,826	13,397,020
სხვა შემოსავალი		33,864	33,864
ადმინისტრაციული ხარჯი			
სახელფასო ხარჯი		(6,011,814)	(2,426,628)
მატერიალური მარაგების ჩამოწერა		(246,761)	-
საპენსიო ფონდი		(124,177)	(56,059)
სარეკლამო ხარჯი		(138,772)	(125,275)
ცვეთა და ამორტიზაცია		(587,107)	(570,337)
კომუნალურების ხარჯი		(264,338)	(119,965)
საგადასახადო ხარჯები გარდა მოგების გადასახადისა		(54,160)	(119,225)
საწვავი		(155,778)	(115,228)
კვება		(291,735)	(178,983)
საკონსულტაციო მომსახურება		(118,304)	(63,893)
ბანკის საკომისიოები		(74,860)	(66,924)
საოპერაციო იჯარის ხარჯი		(446,851)	(299,806)
წარმომადგენლობითი ხარჯი		(100,424)	(37,670)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	15	(1,188,590)	(561,125)
		(9,803,671)	(4,741,118)
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი			
სახელფასო ხარჯი		(688,961)	(644,180)
საპენსიო ფონდი		(14,231)	(14,881)
საოპერაციო იჯარის ხარჯი		(163,862)	(157,430)
საწვავი		(305,392)	(156,623)
სხვა ხარჯი	16	(249,916)	(115,178)
		(1,422,362)	(1,088,292)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან			
		1,206,657	7,601,474
ფინანსური შემოსავალი	17	374,685	265,523
ფინანსური ხარჯი	17	(2,617,251)	(2,296,356)
არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)	18	625,820	218,926
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	19	358,031	363,054
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(52,058)	6,152,621
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება / (ზარალი)		(52,058)	6,152,621
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავლები / (ზარალი)		(52,058)	6,152,621

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-26 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ქართულ ლარში

	აკუმულირებული მოგება	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	3,788,151	3,788,151
წლის მოგება	6,152,621	6,152,621
წლის მთლიანი სრული მოგება	6,152,621	6,152,621
2021 წლის 31 დეკემბერი	9,940,772	9,940,772
წლის ზარალი	(52,058)	(52,058)
წლის მთლიანი სრული ზარალი	(52,058)	(52,058)
2022 წლის 31 დეკემბერი	9,888,714	9,888,714

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-26 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარში

	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
თანხის მიღება მყიდველისგან - ბანკი	180,726,836	155,907,834
მომწოდებლისგან თანხის დაბრუნება	2,084,458	955,388
მყიდველისგან თანხის მიღება - სალარო	25,386,089	26,976,346
ფართის იჯარის გადახდას ხარჯი	(416,779)	(230,744)
თანამშრომელთათვის ხელფასების გადახდა	(5,893,050)	(3,022,523)
ანგარიშსწორება მომწოდებელთან	(170,892,158)	(172,514,889)
თანხის დაბრუნება მყიდველისთვის	(1,882,351)	(659,372)
საპროცენტო ხარჯის გადახდა	(6,716,118)	(156)
ბიუჯეტთან ანგარიშსწორება	(21,199,101)	(11,632,294)
მივლინების ხარჯი	(220,845)	(35,321)
სარეკლამო ხარჯის გადახდა	(98,894)	(68,108)
ადმინისტრაციული ხარჯების გადახდა	(1,382,124)	(757,912)
ფულადი სახსრების ანგარიშვალდებულისგან მობრუნება	(538,289)	141,267
სხვა	4,624	(1,634)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,037,702)	(4,940,021)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები	(3,220,495)	(1,562,650)
გაცემული სესხებიდან თანხის დაბრუნება	173,000	914,000
საპროცენტო შემოსავალი	108,957	47,793
ძირითადი საშუალების შეძენა	(2,546,481)	(1,004,279)
მიღებული გრანტი	-	119,430
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(5,485,019)	(1,485,706)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	35,469,092	69,856,141
გადახდილი სესხი და ფინანსური იჯარა	(26,111,044)	(63,276,516)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული	9,358,048	6,579,625
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე (შემცირება)/ზრდა	2,835,327	153,898
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წლის დასაწყისში	673,061	708,904
უცხოური ვალუტის კურსის ეფექტი	63,790	(189,741)
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წლის ბოლოს	3,572,178	673,061

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-26 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ფოლადის სახლი დაარსდა 2018 წლის 18 სექტემბერს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საიდენტიფიკაციო კოდი: 406258259), რომელიც დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მფლობელების სტრუქტურა შემდეგნაირია:

მფლობელი	წილი %
ზეზუა სალთხუციშვილი	50.00
დიმიტრი სალთხუციშვილი	50.00
	100.00

კომპანიის საქმიანობის სფეროა უმაღლესი ხარისხის რკინა-კავეულის და მასთან დაკავშირებული ნედლეულის იმპორტი, წარმოება და რეალიზაცია. ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების ფართო სპექტრის შესაბამისად საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- რკინის იმპორტი, წარმოება, რეალიზაცია
- რკინის პროფილების იმპორტი, რეალიზაცია

შპს „ფოლადის სახლი“ ოპერირებს საქართველოს ბაზარზე და მისი დამკვეთები არიან როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორი.

საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით წარმოადგენს მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ივანე იუმაშვილის ჩიხი #14.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულ ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 21-ე შენიშვნაში.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.8844 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი და ერთი ევრო 3.5040 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლობის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას) წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადები

შენობა ნაგებობები და კონსტრუქციები

- 10-20 წელი

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 5-20 წელი
მანქანა დანადგარები	- 5-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი
ავეჯი და სხვა მოწყობილობები	- 5-10 წელი
დენის ქსელები	- 5 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარდგენილია დაგროვილი ამორტიზაციითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

ამორტიზაცია აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე სასიცოცხლო მომსახურების ვადაა 5-7 წელი.

3.4 იჯარა

იჯარა, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ეკონომიკური სარგებელი ეკუთვნის მეიჯარეს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის დროს განხორციელებული გადახდები (გამქირავებლისგან მიღებული წახალისების გარეშე) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდით იჯარის პერიოდისათვის.

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური, თუ არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადადის კომპანიის საკუთრებაში. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე, იჯარით გაცემული ქონების სამართლიან ღირებულებასა და იჯარის მინიმალური გადახდების დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. შესაბამისი ღირებულება აღიარდება როგორც ფინანსური საიჯარო ვალდებულება.

ცვთის მეთოდები და ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შესაბამება იმ მეთოდებს რაც გამოიყენება შესაძარის აქტივებზე, რომლებიც იურიდიულად არის კომპანიის საკუთრებაში. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულებები მცირდება იჯარის გადახდებსა და ფინანსურ ხარჯებს შორის სხვაობით, რომლებიც ხარჯში აღიარდება, როგორც ფინანსური ხარჯის ნაწილი.

საიჯარო გადასახადების საპროცენტო ნაწილი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რათა წარმოადგენდეს დარჩენილი კაპიტალის ნაშთის მუდმივ ნაწილს, და ირიცხება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში.

3.5 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, იგი უნდა შემცირდეს ანაზღაურებად ღირებულებამდე. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების ზარალის აღიარება ხარჯის სახით დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი ასახულია გადაფასებული თანხით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი აღიარდება როგორც ჩამოფასება.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში ამობრუნდება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადაფასებულ ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისათვის გაუფასურების გარეშე წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემობრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება როგორც შემოსავალი.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის აღგილზე მიტანასთან. მზა პროდუქციის ღირებულება მოიცავს შეფუთვის ხარჯებს, ნედლეულს, სათადარიგო ნაწილებს და სხვა პირდაპირ ხარჯებს და მასთან დაკავშირებულ წარმოების ხარჯებს.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასად (ეს მოიცავს გარიგების ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომელიც აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში ასახვით). ხოლო თუ შეთანხმება მოიცავს ფინანსურ ოპერაციას, მაშინ ის აღიარდება მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

პირველადი აღიარების შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე, ხოლო დებიტორული დავალიანება პროცენტს არ ითვალისწინებს. იქ, სადაც კრედიტი აჭარბებს ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნები განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებების გადახედვა იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებადი. თუ ასეა, გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასად და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალურ საკრედიტო პირობებში არიან და პროცენტს არ ითვალისწინებენ.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასად (ანუ ბანკისათვის გადასახდელი ფულადი სახსრების ამჟამინდელი ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ ხარჯებში.

3.8 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

3.9 კაპიტალი

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

3.10 მოგების გადასახადი

საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი დაბეგვრის მოდელი („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“) გულისხმობს ნულოვან კორპორატიულ გადასახადს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადს განაწილებულ მოგებაზე (აქციონერებზე განაწილებული მოგება დივიდენდების სახით) და ინდივიდუალურ გარიგებებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლების არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არალეგალური საზღვრისპირა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას და სხვა).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას, ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს-ის 29-ე განყოფილებით „მოგების გადასახადი“ არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.11 შემოსავალი

კომპანია შემოსავალს აღიარებს როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

შემოსავალი ნაჩვენებია დამატებული ღირებულების (დაბრუნებადი) გადასახადის და კლიენტებისთვის მიცემული ფასდაკლებების გარეშე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი ხარისხის რკინა-კავეულის და მასთან დაკავშირებული ნედლეულის იმპორტი, წარმოება და რეალიზაცია.

ქვემოთ მოკლედ აღწერილია სხვადასხვა შემოსავლის აღიარების პრინციპები.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციიდან შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ რაც საქონელი გადაეცემა კლიენტს და ყველა რისკი და სარგებელი გადავა მყიდველზე.

მომსახურების გაწევა

მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით, მაშინ, როდესაც კომპანია გასწევს მომსახურებას და წარმოექმნება საკონტრაქტო უფლება შემოსავლის მიღებაზე.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენობა ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭრელობა და ინვენტარარი	სატრანსპორტო საშუალებები	დენის ქსელები	იჯარით აღებული ქონების კუთიმოწყობა	სხვა	სულ
თვითღირებულება										
31 დეკემბერი 2020	1,357,384	216,616	588,764	5,126,598	96,497	450,175	144,068	-	35,996	8,016,098
დამატება	19,492	3,758	890,767	721,995	278,134	630,232	81,357	40,237	306,833	2,972,805
შიდა მოძრაობა	-	661,498	(661,441)	266,660	1,912	8,101	-	-	(276,730)	-
31 დეკემბერი 2021	1,376,876	881,872	818,090	6,115,253	376,543	1,088,508	225,425	40,237	66,099	10,988,903
დამატება	-	62,801	2,004,445	392,415	349,687	419,213	-	34,835	204,121	3,467,517
გასვლა	-	-	-	(32,901)	-	-	-	-	-	(32,901)
შიდა მოძრაობა	-	23,063	-	149,579	-	861	-	-	(173,503)	-
31 დეკემბერი 2022	1,376,876	967,736	2,822,535	6,624,346	726,230	1,508,582	225,425	75,072	96,717	14,423,519
დაგროვილი ცვეთა										
31 დეკემბერი 2020	-	2,475	-	73,463	14,530	47,218	28,814	-	13,435	179,935
ცვეთის ხარჯი	-	73,408	-	453,822	38,017	144,085	36,731	542	4,549	751,154
31 დეკემბერი 2021	-	75,883	-	527,285	52,547	191,303	65,545	542	17,984	931,089
ცვეთის ხარჯი	-	81,774	-	509,777	112,587	235,428	39,301	5,997	-	984,864
ცვეთის ელიმინირება	-	-	-	(23,243)	-	-	-	-	-	(23,243)
31 დეკემბერი 2022	-	157,657	-	1,013,819	165,134	426,731	104,846	6,539	17,984	1,892,710
ნარჩენი ღირებულება										
31 დეკემბერი 2021	1,376,876	805,989	818,090	5,587,968	323,996	897,205	159,880	39,695	48,115	10,057,814
31 დეკემბერი 2022	1,376,876	810,079	2,822,535	5,610,527	561,096	1,081,851	120,579	68,533	78,733	12,530,809

კომპანიის ბალანსზე არსებული მთლიანი მოძრავი და უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით.

ამორტიზაციის ხარჯი აისახა მოგება-ზარალში შემდეგი პროპორციებით:

ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	407,532	180,815
ადმინისტრაციული ხარჯები	577,332	570,339
	984,864	751,154
წლის ბოლოს მარაგების ნაშთში აღრიცხული ცვთა	-	-
	984,864	751,154

5 მარაგები

ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სარეალიზაციო საქონელი	10,641,064	11,763,089
მზა პროდუქცია	2,666,521	3,246,013
ნედლეული და მასალები	5,287,463	3,638,335
სხვა	127,756	91,786
	18,722,804	18,739,223

6 მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	3,315,343	506,791
საექვო ვალების რეზერვი	(737,199)	(252,304)
	2,578,144	254,487
არაფინანსური აქტივები		
წინასწარი გადახდები მომწოდებლებზე	15,231,344	7,238,442
წინასწარი გადახდები თანამშრომლებისთვის	246,221	124,386
წინასწარი გადახდები ბიუჯეტში	1,423,520	312,414
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,479,229	7,929,729

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

7 გაცემული სესხები

ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სს მარტ ჯგუფი	1,923,034	932,237
შპს აღჭურვილობა და დანადგარები	1,203,171	388,255
შპს მარტ გადამუშავება	495,426	-
შპს ENERGYSTEEL	274,337	-
სს ეს ჯგუფი	26,722	26,722
შპს აზ მეტალი	-	4,553
შპს ფოლადის სახლი (ს.კ.: 406334248)	801,890	66,506
	4,724,580	1,418,273

კომპანიას გაცემული აქვს სესხები ლარში დაკავშირებულ მხარეებსა და სხვა იურიდიულ პირებზე. სესხები დაკავშირებულ მხარეებთან გაცემულია 5-დან 10 წლამდე ვადით, წლიური საპროცენტო

განაკვეთები 11%-14% ფარგლებშია, ხოლო სხვა იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ვადები 1 დან 7 წლამდეა, წლიური საპროცენტო განაკვეთით 11%-11.9% ფარგლებში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა სესხის დაფარვის ვადა 12 თვეს არ აღემატება.

8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე

ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	189,359	293,812
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,382,819	379,249
	3,572,178	673,061

9 სესხები

ქართულ ლარში	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებული მხარე	644,351	19,995,871	-	946,806
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	25,570,304	-	-	-
	26,214,655	19,955,871	-	946,806

კომპანიას დაკავშირებული მხარისგან სესხი აღებული აქვს ლარში წლიური 14% იანი განაკვეთით. სესხი არ არის უზრუნველყოფილი კომპანიის რაიმე აქტივებით და არც რაიმე გარანტიაა გაცემული სესხთან დაკავშირებით. სესხს აქვს საკრედიტო ხაზის ხასიათი და არ აქვს წინასწარი განსაზღვრული გრაფიკი, რის გამოც შეუძლებელია ამორტიზირებული ღირებულების დათვლა. მიუხედავად იმისა, რომ საკრედიტო ხაზის ურთიერთობა 2032 წლის 11 ნოემბრის დასრულებულა. კომპანიას სესხი კლასიფიცირებული აქვს როგორც მოკლევადიანი, რადგან მიმდინარე ვალდებულება დაიფარება 2023 წლის ბოლომდე.

2022 წელს კომპანიამ სასესხო ხელშეკრულებები გააფორმა საფინანსო ორგანიზაციასთან. ბანკიდან სესხი აღებულია ლარში 5.5%-იანი წლიური განაკვეთით. სესხების დაფარვის ვადა არის 2023 წლის 3 აგვისტოს. კომპანიის ბალანსზე არსებული მთლიანი მოძრავი და უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით.

10 ფინანსური იჯარა

ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ვალდებულება	421,118	251,629
გრძელვადიანი ვალდებულება	621,004	498,728
	1,042,122	750,357

კომპანიამ თიბისი ლიზინგთან აქტივების შეძენის მიზნით გააფორმა სალიზინგო ხელშეკრულება. ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილი მანქანა დანადგარების საბალანსო ღირებულება 2022 წლისთვის შეადგენს 822,672 ლარს (2021: 1,094,504 ლარი). აღნიშნული აქტივები წარდგენილია ძირითადი საშუალებების ჯგუფში - „მანქანა დანადგარები“. სახელშეკრულებო ვადა მოიცავს 60 თვეს, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი 12%-ს შეადგენს.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	9,509,035	4,578,819
მიღებული ავანსები	11,629,502	2,603,482
საპენსიო ფონდი	128,762	20,279
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	29,721
	21,267,299	7,232,301

12 სხვა გრძელვადიანი ვალდებულება

სხვა გრძელვადიანი ვალდებულება უკავშირდება ძირითადი საშუალებების შესყიდვას. კომპანიამ შესყიდვის ფარგლებში ვერ მოახერხა ანაზღაურების დროული დაფარვა, რის გამოც შეთანხმების საფუძველზე 2024 წლის 29 სექტემბრამდე გადავადდა სავაჭრო ვალდებულებს დაფარვა. შეთანხმება ითვალისწინებს 5%-იან წლიურ საკომისიოს და ვალის წლიურად ორ ტრანშად დაფარვებს (ძირს პლუს პროცენტი). გრძელვადიანი ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება უახლოვდება მის საბალანსო ღირებულებას.

13 შემოსავალი

ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
მზა პროდუქციის რეალიზაცია	167,592,070	151,997,591
შემოსავალი სატრანპორტო მომსახურებიდან	463,422	176,573
სხვა შემოსავალი	89,811	45,192
	168,145,303	152,219,356

14 რეალიზებული პროდუქციის და მომსახურების თვითღირებულება

ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულება	155,220,009	138,625,289
სატრანპორტო მომსახურების თვითღირებულება	369,857	154,488
სხვა	156,611	42,559
	155,746,477	138,822,336

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
გამოყენებული მასალა	154,745,127	138,388,558
ცვეთა	407,532	180,815
პირდაპირი ხელფასი	67,350	55,916
	155,220,009	138,625,289

15 სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
საჩუქრები და ქველმოქმედება	13,369	10,797
კომპიუტერის ხარჯები	8,250	7,298
GPS მომსახურება	8,314	6,691

ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
მივლინება	210,297	31,451
საგადასახადო ხარჯები	40,139	-
რემონტის და ტექნიკური ხარჯები	164,205	41,347
საოფისე ხარჯები	77,918	93,435
საკანცელარიო ხარჯები	21,672	14,171
მომსახურების ხარჯები	9,342	33,928
საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	484,894	252,304
გამოუქვითავი ხარჯი	-	46,004
დაცვის მომსახურება	64,099	-
სხვა ხარჯები	86,091	23,699
	1,188,590	561,125

16 გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები

ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
ტრანსპორტირების ხარჯები	101,123	40,467
აგენტის მომსახურება	146,632	68,732
სხვა ხარჯები	2,161	5,979
	249,916	115,178

17 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო ხარჯები დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხებზე	(1,275,924)	(1,966,120)
საპროცენტო ხარჯები საბანკო სესხებზე	(1,071,778)	-
იჯარის ვალდებულების პროცენტის ხარჯი	(178,041)	(195,991)
სხვა საპროცენტო ხარჯი	(91,508)	(134,245)
	(2,617,251)	(2,296,356)
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხიდან	265,728	248,294
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებიდან	108,957	17,229
	374,685	265,523
წმინდა ფინანსური ხარჯი	(2,242,566)	(2,030,833)

18 არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
მატერიალური მარაგების ზედმეტობა	61,657	10,696
თანადაფინანსება	-	119,430
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	379,132	-
სხვა	185,031	88,800
	625,820	218,926

19 საკურსო სხვაობა

ქართულ ლარში	2022 წელი	2021 წელი
ფულადი სახსრები და მოთხოვნები	44,409	(210,414)
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	313,622	573,468
	358,031	363,054

20 შემდგომი მოვლენები

2023 წლის 09 თებერვალს განხორციელდა ტექნიკის გადაყიდვა შპს ფოლადის სახლზე (ს/კ 406334248). ჯამური ღირებულება შეადგენდა 995,473 ლარს.

ასევე კომპანიამ შეცვალა სამუშაო პროცესი - გადასამუშავებელი ნედლეული ეკუთვნის და მზა პროდუქციასაც ყიდის შპს ფოლადის სახლი ს/კ 406258259, ხოლო გადამამუშავებს ახორციელებს შპს ფოლადის სახლი ს/კ 406334248. ეს კომპანიები დაკავშირებული მხარეები არიან, ორივე კომპანიის მფლობელები არიან ერთიდაიგივე და ამ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის (2023 წლის 23 ივნისი) ორივე კომპანიის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად: ზუზუა სალხუციშვილი - 30%; დიმიტრი სალხუციშვილი - 30%; მარიამ შერმადინი - 40%.

21 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

21.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალური შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

22 საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აჩვენებს, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება შეადგენს 26,214,655 ლარს, ხოლო კომპანიის ფულადი სახსრები და გაცემული სესხები ჯამში მხოლოდ 8,296,758 ლარია. ამას გარდა კომპანიის 2022 წლის ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან უარყოფითია და შეადგენს 1,037,702 ლარს. ამგვარმა მდგომარეობამ შესაძლოა წარმოქმნას ეჭვი კომპანიის უნართან დაკავშირებით დროულად დაფაროს ვადადამდგარი სასესხო ვალდებულებები, რადგან მომავალ წელს კომპანიას უწევს მნიშვნელოვანი სესხის დაფარვა და მისი ლიკვიდური აქტივები და საოპერაციო ფულადი ნაკადები საკმარისი არ ჩანს ამ თანხის დასაფარად.

თუმცა, წინამდებარე ანგარიში მომზადდა 2023 წლის ოქტომბერში და ფაქტია რომ კომპანიას საქმიანობა არ შეუწყვეტია და არც საქმიანობის მასშტაბი შეუმცირებია, 2022-2023 წლებში ფიქსირდება შემოსავლების ზრდა. მართალია 2023 წლის ოქტომბრისთვის კომპანიას ისევ აქვს მნიშვნელოვანი სასესხო ვალდებულებები, თუმცა, მიმდინარე სასესხო ვალდებულებები დაკავშირებულია ახალი მიმართულების საწარმოო ხაზებთან რომლის საბოლოო დანერგვა და გაშვება 2023 წლის დეკემბრისთვის იგეგმება, კერძოდ კვადრატული მილების წარმოების ხაზის გახსნა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ სესხის ვადაზე აღრე დაბრუნების საკითხი არ წამოიჭრება და არც ვადაგადაცილების შემთხვევაში მოითხოვენ სესხის გამცემები მის მყისიერად უკან დაბრუნებას. ამ ანალიზისას მენეჯმენტი ითვალისწინებს კომპანიის წარსულ გამოცდილებასაც, რაც ამყარებს პოზიციას, რომ საწარმო გააგრძელებს უწყვეტ ფუნქციონირებას.

ზემოთ აღწერილი ყველა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია ფუნქციონირებად საწარმოს წარმოადგენს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

23 ფინანსური ინსტრუმენტები

23.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

23.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული		
გაცემული სესხები	4,724,580	1,418,273
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,315,343	506,791
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	3,572,178	673,061
სულ ფინანსური აქტივები	11,612,101	2,598,125

ფინანსური ვალდებულებები

ქართულ ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული		
სესხები	26,214,655	20,942,677
იჯარის ვალდებულება	1,042,122	750,357
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,180,683	4,608,540
სულ ფინანსური ვალდებულებები	37,437,460	26,301,574

24 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებისგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ტრანზაქციების გარკვეულ ნაწილს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები ლარში გადაყვანილია წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

2022 წელი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	84,170	3,561
	84,170	3,561
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	6,722,495	334,799
	6,722,495	334,799
წმინდა შედეგი	(6,638,325)	(331,238)
2021 წელი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	15,887	27,910
	15,887	27,910
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	145,102	2,449,698
	145,102	2,449,698
წმინდა შედეგი	(129,215)	(2,421,788)

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2021: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ქართულ ლარში	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2022	2021	2022	2021
მოგება/(ზარალი)	(995,749)	(19,382)	(49,686)	(363,268)

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს კომპანიისათვის. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან, მათ შორის ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებიდან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ინდივიდუალურად, კომპანიის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე.

ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე და დეპოზიტებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით, რომლებიც მხოლოდ ძლიერ და კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში არის განთავსებული. კომპანია არ ფლობს რაიმე უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსების დაცვისათვის.

საექვო და უიმედო მოთხოვნები

კომპანია საექვო ვალების რეზერვის გაანგარიშებას ახდენს მოთხოვნის ხანდაზმულობის მიხედვით. ჩვეულებრივ, ყველა სავაჭრო მოთხოვნა უნდა დაიფაროს მოთხოვნის წარმოქმნიდან 90 დღის ვადაში.

ყველა მოთხოვნისთვის, რომელიც 180 დღეზე მეტად არის ვადაგადაცილებული (ანუ, მოთხოვნის წარმოშობის დღიდან გასულია 270 დღე ან მეტი), იქმნება 50%-იანი რეზერვი. ხოლო, ყველა მოთხოვნა, რომელიც 360 დღეზე მეტად არის ვადაგადაცილებული (ანუ, მოთხოვნის წარმოშობის დღიდან გასულია 450 დღე ან მეტი), სრულად რეზერვდება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს რეზერვები შექმნილია შემდეგნაირად:

2022 წელი	მიმდინარე	180 დღეზე ხანდაზმული	360 დღეზე ხანდაზმული	სულ 31 დეკემბერი 2022
მოსალოდნელი დანაკარგის წილი	0%	50%	100%	
მთლიანი ღირებულება	2,578,144	-	737,199	3,315,343
მოსალოდნელი დანაკარგის რეზერვი	-	-	(737,199)	(737,199)
საბალანსო ღირებულება	2,578,144	-	-	2,578,144

2021 წელი	მიმდინარე	180 დღეზე ხანდაზმული	360 დღეზე ხანდაზმული	სულ 31 დეკემბერი 2021
მოსალოდნელი დანაკარგის წილი	0%	50%	100%	
მთლიანი ღირებულება	254,487	-	252,304	506,791
მოსალოდნელი დანაკარგის რეზერვი	-	-	(252,304)	(252,304)
საბალანსო ღირებულება	254,487	-	-	254,487

სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საწყისი და საბოლოო ბალანსების რეკონსილიაცია შემდგენილია წარმოდგენილი:

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	252,304	-
ზარალის რეზერვი აღიარებული წლის განმავლობაში	484,895	252,304
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	737,199	252,304

ც) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანიის მთლიანი ფინანსური ვალდებულებები მის ფინანსურ აქტივებს თითქმის 4-ჯერ აღემატება. კომპანიას 2023 წელს გადასახდელი აქვს 26 მილიონ ლარამდე სესხი, მაშინ როცა ფული ხელზე და ბანკში, გაცემული მოკლევადიანი სესხები და დებიტორული დავალიანება მხოლოდ 27 მილიონამდეა, ეს კიდევ 10 მილიონამდე სავაჭრო ვალდებულებების გათვალისწინების გარეშე, რაც ასევე მოკლე ვადაში გადასახდელია. ამასთან, ფულადი ნაკადების ანგარიშგების საოპერაციო ნაწილიდან ფიქსირდება ფულადი სახსრების ნეტო გაღიება თითქმის 5 მილიონი ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ისე ჩანს, რომ კომპანია დგას ლიკვიდურობის რისკის წინაშე. რა თქმა უნდა კომპანია ლიკვიდურობის განხილვისას აგრეთვე ითვალისწინებს მომავალი გაყიდვებიდან მისაღებ თანხებსაც და რამდენადაც ეს ანგარიშგება ბალანსის თარიღიდან 10 თვის შემდეგ არის მომზადებული, უკვე ისაც ცნობილია, რომ კომპანიამ შეძლო ლიკვიდურობის მართვა ისეთნაირად, რომ ეს 10 თვეც ემუშავა და მომავალშიც შეძლებს გააგრძელოს მუშაობა (იხ. აგრეთვე შენიშვნა 21).

25 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია მართავს თავის კაპიტალს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მას შეეძლოს, გააგრძელოს საქმიანობა და უზრუნველყოს ადეკვატური ანაზღაურება დაინტერესებული მხარეებისთვის.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება დაგროვილი მოგება/ზარალისგან.

მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს, რათა შეინარჩუნოს ეფექტური დაფინანსების სტრუქტურა და თავიდან აიცილოს ზედმეტი ბერკეტები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მასში კორექტირებას ეკონომიკური პირობებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების ფონზე.

26 განუსაზღვრელობები

26.1 გარემოს დაცვა

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები. თუმცა საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელმაც შესაძლოა მომავალში წარმოშვას მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

26.2 გადასახადები

მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

27 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მფლობელები, კომპანიის მენეჯმენტი და სხვა დაკავშირებული მხარეები.

27.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიის მფლობელების სტრუქტურა წარმოდგენილია შენიშვნა 1-ში.

27.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

ქართულ ლარში

ოპერაციები	2022 წელი	2021 წელი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
სესხის აღება	620,000	69,856,141
სესხისა და პროცენტის დაფარვა	(29,554,601)	(62,740,536)
დარიცხული პროცენტი	1,275,924	1,966,120
გაცემული სესხები	(2,442,933)	(704,000)
გაცემული სესხის უკან დაბრუნება	173,000	287,000
საპროცენტო შემოსავალი	235,839	212,926
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	388,699	-

ქართულ ლარში

ნაშთები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
მიღებული სესხი	644,341	20,942,677
გაცემული სესხები	3,954,817	1,413,720

27.3 ოპერაციები მენეჯმენტთან და ახლო ოჯახის წევრებთან

მენეჯმენტი წლის განმავლობაში იღებდა შემდეგ ანაზღაურებას, რომელიც მოიცავს სახელფასო ანაზღაურებას და სხვა სარგებელს.

ქართულ ლარში

	2022 წელი	2021 წელი
ხელფასები და ბონუსები	2,596,050	283,735

შ.პ.ს. „ფოლადის სახლი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	3
2. კომპანიის დამფუძნებლები და მმართველი პირები.....	3
3. კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:	3
4. საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი).....	4
5. თანამშრომლები:.....	4
6. ფილიალები:	4
7. მომხმარებლები:.....	4
8. პროდუქციის ფასების დინამიკა.....	4
9. სუბიექტის განვითარების გეგმები.....	4
10. წარმოებული კვლევები და მისი განვითარება	5
11. ძირითადი რისკ ფაქტორები	5
12. ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა	6

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შ.პ.ს. ფოლადის სახლი (ს/ნ 406258259) წარმოადგენს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია საქმიანობას ეწევა “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა და წესების შესაბამისად.

შ.პ.ს. ფოლადის სახლი (ს/ნ 406258259) დაფუძნდა 2018 წლის 18 სექტემბერს. საწარმო უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება. ყოველდღიურ მართვას ახორციელებს პარტნიორების მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი.

2. კომპანიის დამფუძნებლები და მმართველი პირები

ორგანიზაციის პარტნიორები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ:

დიმიტრი სალთხუციშვილი 50%

ზეზვა სალთხუციშვილი 50%

ორგანიზაციის პარტნიორები 2023 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით არიან:

დიმიტრი სალთხუციშვილი 30%

ზეზვა სალთხუციშვილი 30%

მარიამ შერმაღინი 40%

3. კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები

შ.პ.ს. ფოლადის სახლი (ს/ნ 406258259) – სამშენებლო მასალების იმპორტიორი და მწარმოებელი კომპანიაა. უკვე 4 წელიწადია, რაც იგი საქართველოს სამშენებლო ბიზნეს სექტორში ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელი საწარმოა. დაარსებიდან დღემდე კომპანიის N1 პრიორიტეტი ბაზარზე მაღალი სტანდარტების დაწესება, ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბება და ერთგული მომხმარებლების ჯგუფის შექმნაა, რაც განაპირობებს კომპანიის წარმატებას. გუნდი, რომელიც საფუძვლად უდევს კომპანიის წინსვლას, შედგება კვალიფიციური და ერთგული თანამშრომლებისგან. კომპანია ყოველთვის მზად არის მის გუნდში მიიღოს მიზანდასახული და შრომისმოყვარე კადრები, რომლებიც კომპანიის განვითარებაში წვლილს შეიტანენ. კომპანიამ 2022 წელს შრომით ბაზარზე დამატებითი 70 (სამოცდაათი) სამუშაო ადგილი შექმნა.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2022 წელი (თანხები მოცემულია ლარში)	2021 წელი (თანხები მოცემულია ლარში)
შემოსავალი მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	167,592,070	151,997,591
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	463,422	176,573
სხვა შემოსავალი	89,811	45,192
სულ	168,145,303	152,219,356

ჩვენი ძირითადი მიმართულებები:

- სტრუქტურული რკინა: არმატურა, კვადრატული მილი, მრგვალი მილი, კუთხოვანა, ფურცლოვანი ფოლადი, ორტესებრი კოჭი, შველერი და სხვა
- თბოსაიზოლაციო და ჰიდროსაიზოლაციო მასალები: არააალებადი XPS, მინერალური ბამბა, ქვის ბამბა;
- საკუთრი ნაწარმი: UD, CD, UW, CW, საკიდები, ტრაპეცია, ცივად ნაგლინი არმატურა, არმირებული ბადე, ვენახის ბოძები;
- აქსესუარები: ჭანჭიკები, წყალსაწრეტი სისტემები, საპერმეტიზაციო ლენტები და სხვა.
- წყალსაწრეტი სისტემები: ღარი, ღარის სამაგრი.

მიუხედავად პროდუქციის კატეგორიების მრავალფეროვნებისა, კომპანია ყოველწლიურად სთავაზობს სიახლეს ქართულ ბაზარს და ხელს უწყობს დარგის განვითარებას.

4. საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი)

ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა ცვლილება საწესდებო კაპიტალში და არ ყოფილა აქციების გამოშვება-გამოსყიდვა.

5. თანამშრომლები

კომპანიის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 150-დან 250-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება. როგორც დამქირავებელისთვის, მნიშვნელოვანია თანამშრომლების განათლების ხარისხი, გამოცდილება და კომპეტენტურობა. სწორედ ამიტომ, კომპანია მუდმივად ცდილობს, რომ ხელი შეუწყოს დასაქმებულების პროფესიულ განვითარებას და გამოცდილი კადრების მოზიდვას. დასაქმების საიტებზე უწყვეტად დევს ახალი ვაკანსიები ფილიალების ზრდის პროპორციულად. ჩვენთან დასაქმებული კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი არის უმაღლესი განათლებით. კადრების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება მომხმარებელთან ურთიერთობის სწორად წარმართვასა და კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაში. თანამშრომლებს გარდა კარგი მატერიალური ანაზღაურებისა, ასევე აქვს კარგი კარიერული ზრდის შესაძლებლობა. წარმატებული თანამშრომლები ხდებიან ჯგუფის ხელმძღვანელები, კარგი ჯგუფის უფროსები ხდებიან ფილიალების მმართველები, წარმატებული ფილიალების ხელმძღვანელებიდან ხდება რეგიონალური მენეჯერების არჩევა და ა.შ. თანამშრომლებს სისტემატურად უტარდებათ ტრენინგები.

6. ფილიალები

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ივანე იუმაშვილის ჩიხი, N14. სათაო ოფისის ფაქტიური მისამართიც არის ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ივანე იუმაშვილის ჩიხი, N14. დღევანდელი მდგომარეობით, გარდა სათაო ოფისისა ფუნქციონირებს კომპანიის შემდეგი ფილიალები:

- ლოჭინის ფილიალი
- გლდანის ფილიალი
- ბათუმის ფილიალი
- ვაზიანის ფილიალი

7. მომხმარებლები

მომხმარებელთა სეგმენტს წარმოადგენს, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები. პროდუქციის რეალიზაცია ხდება, როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ისე შემდგომი გადახდის პირობით გაფორმებული ხელეკრულების საფუძველზე.

8. პროდუქციის ფასების დინამიკა

კომპანია მუდმივად ცდილობს ფეხი აუწყოს სამშენებლო მასალების ბაზარზე მომხმარებელს და შესაბამისად დაარეგულიროს პროდუქციის ხარისხი და ფასები, რაც თავის მხრივ მიზნულია სამშენებლო ბაზარზე არსებულ საერთო სურათზე. ფასების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს მომწოდებლის ქვეყნებში და საქართველოში არსებული ვალუტის გაცვლითი კურსები.

9. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის უახლოეს მოკლევადიან გეგმაში შედის საკუთარი წარმოების პროდუქტების ასორტიმენტის გაზრდა, კერძოდ წლის ბოლოსთვის იგეგმება წარმოების ახალი მიმართულებების დამატება. პროდუქციის რეალიზაციის მიზნით ახალი რეგიონების ათვისება და იმ რეგიონებში, სადაც უკვე ფილიალებია განთავსებული იქ წარმომადგენლობის გაძლიერება.

კომპანია აქტიურად არის ჩართული სამშენებლო საქმიანობაში მიმდინარე პროცესებში, რაც აგრეთვე გულისხმობს სამშენებლო ბაზარზე ახალი რეგულაციების დამკვიდრების შესაბამისად ახალი სტანდარტების დანერგვას. ფოლადის სახლი-ს ძირითადი ამოცანაა უსაფრთხოების სტანდარტების მიხედვით აწარმოოს ოპერაციები, რასაც ემსახურება რამდენიმე უსაფრთხოების მენეჯერი.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყო, რაც თავის მხრივ მსოფლიო ყურადღების ქვეშ მოექცა. ომის შეწყვეტის მიზნით ევროკავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ასევე სხვა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს რუსეთისათვის მკაცრი სანქციების დაწესება, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ შეზღუდვებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს არა მარტო რუსეთში არსებულ კომპანიებზე, არამედ მათზეც, ვისაც ამ ქვეყნის კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობები გააჩნიათ.

ზემოაღნიშნულ შეზღუდვებს კომპანიის საქმიანობაზე ჰქონდა შემდეგი სახის გავლენა.

- **ექსპორტი/იმპორტი** - ამ ნაწილში საკმაოდ დიდი გავლენა იქონია სანქციებმა. უკრაინის ბაზრის ჩაკეტვამ გამოიწვია მოთხოვნა რუსულ არმატურაზე და სერიოზული პრობლემა შეგვექმნა შესყიდვაზე და შესაბამისად იმპორტზე. გარკვეული თანხები გადაირიცხა მაგრამ გაიჭედა შუამავალ ბანკმ და როგორც მე ვიცი ჯერ არ დაგვბრუნებია.
- **წოდების/მასალის შეძენის პროცესი, ფასები და ტრანსპორტირება** - შესყიდვის პროცესზე გავლენა იქონია იქიდან გამომდინარე, რომ გადარიცხვებს ვერ ანხორციელებდ აკომპანია. მნიშვნელოვნად გაიზარდა სატრანსპორტო მიმოსვლა, რადგან მთავარი სატრანსპორტო ჰაბი გახდა საქართველო. შეიქმნა სერიოზული რიგები საბაჟოებზე, რამაც გამოიწვია ტრანსპორტირების ფასების ზრდა.
- **საწარმოო პროცესისათვის მნიშვნელოვანი/კრიტიკული კომპონენტების მოწოდების პრობლემა** - დიდად აქამდე არ ვყოფილვართ რუსულ ბაზარზე დამოკიდებული და აქედან გამომდინარე კრიტიკული შეფერხება არ გვქონია.
- **მნიშვნელოვანი კლიენტები რუსეთში ან ბელორუსში, ვისაც ვეღარ აწვდის კომპანია პროდუქციას ან ვეღარ იღებს თანხებს** - კომპანიას არ ჰყოლია აღნიშნული ქვეყნიდან მომხმარებლები

10.წარმოებული კვლევები და მისი განვითარება

ბოლო ორი წელია კომპანიაში არ ჩატარებულა კვლევები და არც იგეგმება უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

11.ძირითადი რისკ ფაქტორები

საწარმოს მენეჯმენტის აზრით კომპანიის განვითარებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც ობიექტურმა, ასევე სუბიექტურმა რისკ-ფაქტორებმა. ობიექტური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, რაც ყველა ბიზნესისთვის გადამწყვეტი ფაქტორია. ასევე, გეოპოლიტიკური მდგომარეობა და დიპლომატიური ურთიერთობები იმ მოკავშირე ქვეყნებთან, საიდანაც ხორციელდება პროდუქციის იმპორტი.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო რეგულაციები, რომელიც უწესდება რკინის ნაწარმს. ხშირი ბიუროკრატიული და საკანონმდებლო ცვლილებები მოქმედებს ბაზრის სტაბილურობაზე, იწვევს მოთხოვნა-მიწოდების რყევებს და ართულებს ბიზნესის განვითარების პროგნოზს.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორებს, კომპანია ორიენტირებულია დანერგოს და დახვეწოს მენეჯმენტის სწორი მიდგომები, რომელიც შესაბამეა მის საქმიანობას. მიმდინარეობს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების სტანდარტის გასაუმჯობესებლად, რაც განაპირობებს თანამშრომელთა უსაფრთხო სამუშაო გარემოს, მათი უფლებების დაცვას და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნას. კომპანია ცდილობს აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რაც გამოიწვევს საწარმოო ციკლის შეფერხებას ან არასწორ აღრიცხვას. მუშაობს კონტროლის მექანიზმების სრულყოფაზე პროდუქციის შეძენიდან მის საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებამდე. კომპანია ხარჯავს საკმაოდ რესურსს პრობლემურ კლიენტებთან დაკავშირებით, წინასწარ მიიღოს დაზღვევის სხვადასხვა ზომები (უზრუნველყოფა, თავდაცობა, გირაო) და თავიდან აირიდოს პრობლემური დებიტორული დავალიანებების ზრდა.

სავალუტო რისკი

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე, რომელიც წარმოიქმნება როგორც ფინანსირებისგან, ასევე ინვესტირებიდან.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. თუმცა აქვს ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაშიც. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობები. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში ან ევროში.

გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქართული ეროვნული ვალუტა განიცდიდა გაუფასურებას ამერიკულ დოლართან მიმართებაში, სავალუტო რისკის მართვის კუთხით კომპანია ცდილობდა ხელშეკრულებები გაეფორმებინა ეროვნულ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი

2022 წლის მანძილზე, წინა წლებთან შედარებით კომპანიის შემოსავლები გაიზარდა საგრძნობლად, რაც კომპანიის ლიკვიდურობის რისკს ამცირებს.

ცხრილში მოცემულია 2021-2022 წლის ფინანსური კოეფიციენტები

წლები	2022	2021
აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	2.85	3.92
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.97	1.05
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.58	0.31
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	8.31	7.41

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

12. ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა

2022 წელი საკმაოდ წარმატებულია აღმოჩნდა კომპანიისთვის. როგორც ცხრილში ვხედავთ შემოსავლები წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა.

წლები	2022 (თანხები მოცემულია ლარში)	2021 (თანხები მოცემულია ლარში)
შემოსავლები	168,145,303	152,219,356

შემოსავლების შესაბამისად, კომპანია ცდილობდა ხარჯების ოპტიმიზაციასაც. 2020 წლიდან 2021 წლამდე ადმინისტრაციული ხარჯები გაიზარდა 77%-ით, ხოლო გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები 83%-ით, მაშინ როდესაც შემოსავლები შემოსავლები გაიზარდა 174%.

წლები	2022 (თანხები მოცემულია ლარში)	2021 (თანხები მოცემულია ლარში)
ადმინისტრაციული ხარჯები	9,775,123	4,741,118
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	1,422,362	1,088,292

ხარჯების დიდ ნაწილს წარმოადგენს თანამშრომლების ხელფასები:

2022 წელი – 6,700,775 ლარი

2021 წელი – 3,070,808 ლარი

დირექტორი

2023 წლის 07 დეკემბერი